თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლის VA[A]DS ვიზუალური ხელოვნების, ინტერიერის დიზაინის და ვიზუალური კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები, მესამე სავალდებულო გამოცდის - შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები 2025 წლის მიღებისათვის

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლის ვიზუალური ხელოვნების, ინტერიერის დიზაინის და ვიზუალური კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება განხორციელდება შემდეგი წესით:
1.1.1. შემოქმედებითი ტური;
1.1.2. ერთიანი ეროვნული გამოცდები (ორი სავალდებულო საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა).

1.2. სამი მისაღები გამოცდის შეფასების წონები აბიტურიენტის საბოლოო შეფასებისათვის დგინდება კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3. შემოქმედებითი ტური ტარდება ორ ნაწილად:
1.3.1. ეტაპი 1: პორტფოლიოს შეფასება და შერჩევა;
1.3.2. ეტაპი 2: შერჩეული პორტფოლიოს და სხვა ნამუშევრების წარდგენა და გასაუბრება.

1.4. პორტფოლიოს და სხვა ნამუშევრების წარდგენასა და გასაუბრებაზე აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

მუხლი 2. პორტფოლიოს და გასაუბრების შეფასების სისტემა

2.1. რექტორის ბრძანებით დგება კომისია, რომლის წევრების დამოუკიდებელი და კონფიდენციალური შეფასებების საფუძველზე, და შემდეგ, წევრების შეფასებების საშუალო შეფასების გამოთვლის შედეგად დგინდება აბიტურიენტის საბოლოო ფორმალური შეფასება.

2.2 პერსონალური ინფორმაციის დაცვის სტანდარტის გათვალისწინებით აბიტურიენტის შეფასება არ ხდება საჯარო და ეცნობება მხოლოდ აბიტურიენტს და, ეროვნული გამოცდების მიზნებისათვის, „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს“.

2.3. შემოქმედებითი ტური ფასდება შემდეგი პროცესის შედეგად:

2.3.1. ციფრულად ატვირთული ნამუშევრების შეფასება და შერჩევა;
2.3.2. შერჩეული პორტფოლიოს და სხვა ნამუშევრების წარდგენა კომისიის წინაშე და გასაუბრება.

2.4 ციფრულად ატვირთული პორტფოლიოების შეფასების შედეგად კომისია შეარჩევს პორტფოლიოებს, რომლებიც შეფასების სისტემის 2.8.1; 2.8.2; 2.8.3 და 2.8.4 კრიტერიუმების მიხედვით გადალახავენ კომპეტენციის ზღვარს (20 ქულა) და მათ ავტორებს მოიწვევს პორტფოლიოს და სხვა ნამუშევრების წარდგენასა და გასაუბრებაზე.

2.5. შემოქმედებითი ტური ფასდება 100 ქულიანი სისტემით:
2.5.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-33 ქულა;
2.5.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 34-56 ქულა
2.5.3. კარგი - 57-78 ქულა;
2.5.4. ძალიან კარგი - 79-100 ქულა.

2.6 პორტფოლიოს შეფასება ორნაწილიანია:
2.6.1. თავად პორტფოლიოს შეფასება - 50 ქულა;
2.6.2. აბიტურიენტის შეფასება, პორტფოლიოს და სხვა ნამუშევრების წარდგენისა და გასაუბრების შედეგად - 50 ქულა.

2.7. პორტფოლიოს შეფასების კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 27 ქულა, ამდენად აბიტურიენტმა უნდა მიიღოს შეფასება - მინიმუმ 28 ქულა, ზღვარის გადასალახად.

2.8. პორტფოლიო, სხვა ნამუშევრები და გასაუბრება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
2.8.1. ნამუშევრების იდეა/კონცეფცია -15 ქულა:
2.8.1.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-5 ქულა;
2.8.1.2. კარგი - 6-10 ქულა;
2.8.1.3. ძალიან კარგი - 11-15 ქულა.

2.8.2. ინოვატიურობა და ორიგინალურობა - 15 ქულა:
2.8.2.1. არადამაკმაყოფილებელი - 5 ქულა;
2.8.2.2. კარგი - 6-10 ქულა;
2.8.2.3. ძალიან კარგი - 11-15ქულა.

2.8.3. კომპოზიცია - 10 ქულა:
2.8.3.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-3 ქულა;
2.8.3.2. კარგი - 4-6 ქულა;
2.8.3.3. ძალიან კარგი - 7-10 ქულა.

2.8.4. ტექნიკური შესრულების უნარები - 10 ქულა:
2.8.4.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-3 ქულა;
2.8.4.2. კარგი - 4-6 ქულა;
2.8.4.3. ძალიან კარგი - 7-10 ქულა.

2.8.5. ვერბალური კომუნიკაცია და ვიზუალურ ხელოვნებაზე მსჯელობის უნარი - 25 ქულა:
2.8.5.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-8 ქულა;
2.8.5.2. კარგი - 9-17 ქულა;
2.8.5.3. ძალიან კარგი - 18-25 ქულა.

2.8.6. მოტივაცია -25 ქულა:
2.8.6.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-8 ქულა;
2.8.6.2. კარგი - 9-17 ქულა;
2.8.6.3. ძალიან კარგი - 18-25 ქულა.

2.9. გასაუბრებაზე აბიტურიენტი წარმოადგენს კომისიის წინაშე მინიმუმ იმ ნამუშევრებს, რაც ატვირთა პორტფოლიოში. ამასთან, აბიტურიენტმა კომისიასთან გასაუბრებისათვის უნდა წარმოადგინოს დამატებითი ნამუშევრები ან/და ჩანახატები.

2.10. გასაუბრების პროცესში აბიტურიენტს შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი შემოქმედებითი ამოცანა, რომელიც ცალკე შეფასების საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ გამიზნულია აბიტურიენტის უნარების უკეთ გამოვლენისა, ნამუშევრების ავთენტურობის დადგენის და კომისიის მოსაზრების უკეთ ფორმირებისათვის.

2.11. შემოქმედებითი ტურის პროცესში დგინდება პორტფოლიოს ავთენტურობა, რადგან პორტფოლიოში ატვირთული ნამუშევრები აუცილებლად უნდა იყოს შესრულებული მხოლოდ და დამოუკიდებლად აბიტურიენტის მიერ, სხვისი პირდაპირი შემოქმედებითი და ტექნიკური ჩარევის ან დახმარების გარეშე.

2.12. კერძო გაკვეთილების ფარგლებში, ან სხვაგვარად ხელმძღვანელობის ქვეშ შესრულებული დავალებები და ნამუშევრები არ შეფასდება და არ ჩაითვლება პორტფოლიოს შემადგენელ ნამუშევართა რაოდენობაში.

2.13. თუ საკონკურსო კომისია დაადგენს, რომ პორტფოლიოს ნამუშევრები შეიცავს პლაგიატს (სხვისი ნამუშევრის საკუთრად გასაღება, სხვისი მონაწილეობით შესრულებული ნამუშევრის საკუთრად გასაღება) - აბიტურიენტი ფასდება 0 ქულით და დისკვალიფიცირებული იქნება შემოქმედებითი ტურიდან.

მუხლი 3. პორტფოლიოს (ნამუშევრების) მოთხოვნები

3.1. აბიტურიენტი წარადგენს პორტფოლიოს რომელიც შედგება 10 ნამუშევრისგან.

3.2. 10 ნამუშევრიდან 5 ნამუშევარი უნდა იყოს შექმნილი ნატურიდან (დაკვირვებით). (მაგალითად: ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი და ა. შ.) ეს ნამუშევრები აუცილებლად უნდა იყოს ხელით შესრულებული. ნამუშევრები შეიძლება იყოს წარმოდგენილი ჩანახატის სახით.

3.3. 10 ნამუშევრიდან 5 ნამუშევარი უნდა იყოს თავისუფალ თემაზე, ნებისმიერ მასალაში და ნებისმიერი ტექნიკით შესრულებული (ნამუშევრები შეიძლება იყოს ფერწერა, დიზაინის ესკიზი, ფოტოგრაფია, ციფრული მედია, სამგანზომილებიანი მოდელი და ა.შ.); თავისუფალ თემაზე შესრულებული ნამუშევრები შეიძლება შესრულებული იყოს ასევე სხვადასხვა ტექნიკის კომბინაციით.

3.4. ვიდეოს შემთხვევაში, ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. სამგანზომილებიანი ნამუშევრის შემთხვევაში ნამუშევრის გაბარიტები არ უნდა აღემატებოდეს 80 x 80 x 80 სმ-ს.

3.5. პორტფოლიოს ყველა ნამუშევარი უნდა იყოს შესრულებული მხოლოდ და დამოუკიდებლად აბიტურიენტის მიერ, სხვისი პირდაპირი შემოქმედებითი და ტექნიკური ჩარევის ან დახმარების გარეშე.

3.6. წარმოდგენილი ნამუშევრები არ უნდა მოიცავდეს კერძო გაკვეთილების ფარგლებში, ან სხვაგვარად ხელმძღვანელობის ქვეშ შესრულებულ დავალებებს/სავარჯიშოებს/ნამუშევრებს (მაგალითად: თაბაშირის ფიგურები/ასლები, დრაპირება, ტიპიური ნატურმორტები საყოფაცხოვრებო საგნებით). ასეთი ნამუშევრები არ განიხილება და არ ჩაითვლება წარმოდგენილი ნამუშევრების რაოდენობაში.

3.7. ჯგუფური ნამუშევრები არ დაიშვება.

3.8. პორტფოლიო ციფრულად უნდა იყოს წარმოდგენილი/ატვირთული.

3.9. პორტფოლიოს ციფრულად ატვირთვისთვის ბმული და ვადები, აბიტურიენტებს დამატებით ეცნობებათ უნივერსიტეტის მიერ.

3.10. ნამუშევარი (ვიდეოს გარდა) უნდა იყოს წარმოდგენილი jpg ფორმატით.

3.11. იმ შემთხვევაში, თუ ერთი აბიტურიენტის მიერ აღმოჩნდება ერთზე მეტი ატვირთული პორტფოლიო, განხილული და შეფასებული იქნება ამ აბიტურიენტის მიერ ბოლოს ატვირთული პორტფოლიო.

3.12. აბიტურიენტი, რომელიც ციფრულად ატვირთავს ნამუშევარს, მაგრამ არ გამოცხადდება გასაუბრებაზე - არ შეფასდება.

3.13. ციფრულად ატვირთული ერთი ნამუშევრის სხვადასხვა რეპრეზენტაცია ითვლება ერთ ნამუშევრად.

3.14. თუ ნამუშევრის ორიგინალი ხელმოწერილია, ატვირთულ ნამუშევარზე ხელმოწერა უნდა იყოს დაფარული ტექნიკური საშუალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ნამუშევარი არ შეფასდება.

3.15. თუ აბიტურიენტი ციფრულად ატვირთავს 10-ზე ნაკლებ ნამუშევარს, ამ შემთხვევაში მის შეფასებას დააკლდება ყოველ დაკლებულ ნამუშევარზე შეფასების 10 ქულა.

3.16. იმისათვის რომ აბიტურიენტი დაშვებული იქნეს გასაუბრებაზე და პორტფოლიო შეფასდეს მან უნდა ატვირთოს სულ მცირე 8 ნამუშევარი, საიდანაც უნდა იყოს 4 დაკვირვებით შესრულებული ნამუშევარი (3.2 -ის თანახმად) და 4 ნამუშევარი თავისუფალ თემაზე (3.3 ს თანახმად).

3.17. 8-ზე ნაკლები ნამუშევრის ატვირთვის შემთხვევაში პორტფოლიო არ განიხილება და აბიტურიენტის შეფასება არ ხდება.